ქრონიკა

ტრადიციული მრავალხმიანობის თბილისის VI საერთაშორისო სიმპოზიუმი

ქართული კულტურული ცხოვრების და ჰუმანიტარული მეცნიერების დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უკვე მეექვსედ, სტაბილური სამეცნიერო და საკონცერტო პროგრამით, თბილისში, 2012 წლის 24-28 სექტემბერს ჩატარდა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი.

ეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმი, დაწყებული 2002 წლიდან, ყოველ მეორე წელს შემოდგომით იმართება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ამ ღონიძიების მუდმივი წარმმართველია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (polyphony.ge), რომელიც ყოველი ფორუმის დასრულების შემდეგ გამოსცემს მოხსენებათა ორენოვან კრებულს. სამეცნიერო ფორუმის ამ ფორმატით ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა საქართველოში შესაბამისი თემატიკის რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონფერენციების მეტ-ნაკლები რეგულარობით ჩატარება 1986 წლიდან.

ყოველ ახალი სიმპოზიუმი წინასაგან რაიმე სიახლით გამოირჩევა. ეს ეხება როგორც სამეცნიერო ნაწილს, ასევე საკონცერტო პროგრამას.

უპირველესად აღსანიშნია სიმპოზიუმში მონაწილე უცხოელ მეცნიერთა სიმრავლე – 30 კაცი (მსოფლიოს 15 ქვეყნიდან); ასევე იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც პირველად ესტუმრნენ თბილისის სიმპოზიუმს – 15 კაცი. ეს მეტყველებს ჩვენი ამ სამეცნიერო ფორუმისადმი მზარდ ინტერესზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეთნომუსიკოლოგთა შორის.

მეცნიერთა მიერ ადრეულ სიმპოზიუმებზე გამომჟღავნებული მოთხოვნა სამეცნიერო დისპუტისათვის უფრო მეტი დროის დათმობისა ერთგვარად დააკმაყოფილა ამჟამად უკვე ორმა სადისკუსიო მრგვალმა მაგიდამ: I – „შუა საუკუნეების ევროპული და ქართული პოლიფონიური მუსიკა: მოდალობა და ჰარმონია“ (მონაწილეობდნენ

პოლო ვალეჰო და არტურო ტელო ლუის-პერესი ესპანეთიდან, სიმჰა არომი საფრანგეთიდან, სუზან რანკინი დიდი ბრიტანეთიდან, იოსებ ჟორდანია, სვიმონ ჯანგულაშვილი და სხვა ქართველი მეცნიერები); და II – „ახალი მოსაზრებები ადამიანის ევოლუციასა და ქცევაზე – მრავალხმიანობის როლი თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებაში“ (დიტერ ქრისტენსენი და პიტერ გოლდი აშშ-დან, არტურო ტელო ლუის-პერესი ესპანეთიდან, რუსუდან წურწუმია და იოსებ ჟორდანია საქართველოდან).

სიმპოზიუმის პირველი სამეცნიერო სესია მიეძღვნა ტრადიციული პოლიფონიის შედარებით შესწავლას. ამ თემაზე ვრცელი მოხსენებით წარდგა ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი იოსებ ჟორდანია. სხდომაში მონაწილეობდნენ ასევე ნინო ციციშვილი (ავსტრალია/საქართველო), ელენა ციოვანოვიჩი (სერბეთი), ჰუგო ზემპი (შვეიცარია) და ქეთევან ბაიაშვილი (საქართველო). შევენების შემდეგ სესია ჩატარდა თემაზე: ტრადიციული პოლიფონიის ზოგადი თეორიული და მუსიკალურ-ესთეტიკური ასპექტები. მასში მონაწილეობა მიიღეს ბარბარა ელისონმა (ნიდერლანდები), გია ბაღაშვილმა (საქართველო), ანდრეა კუზმიჩმა (კანადა), თამაზ გაბისონიამ (საქართველო), მეტ ჰარვიმ (ავსტრალია).

სიმპოზიუმის მეორე დღეს სესიები ჩატარდა თემაზე: ტრადიციული პოლიფონიის რეგიონული სტილები და მუსიკალური ენა. აქ მონაწილეობა მიიღეს ნაილა ალმეევამ (რუსეთი), სუ ვეიმ და ვანგ ქიმ (ჩინეთი), მარია დე საო ხოსე კოლრტე-რეალმა (პორტუგალია), მიხეილ ლობანოვმა (რუსეთი), ანდა ბეიტანემ (ლატვია), ნინო ღამბაშიძემ და ნინო მახარაძემ (საქართველო), კოჩი რიემ (იაპონია), გიგი გარაყანიძემ (ამ აწ ტრაგიკულად გარდაცვლილი ქართველი მომხსენებლის თემა გია ბაღაშვილმა წარმოადგინა), ნინო ფირცხალავამ (საქართველო), მეთიუ ნაითმა (აშშ), კაე ჰისაოკამ (იაპონია), როსარიო პესტანამ (პორტუგალია), ველიკა სტოიკოვა-სერაფიმოვსკამ (მაკედონია), ენო კოჩომ (ალბანეთი).

ტრადიციული მუსიკის ისტორიული ჩანაწერები წარმოადგინეს დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენემ (ლიტვა), სიუზან ციგლერმა, გერდა და ფრანც ლეხლაიტნერებმა (გერმანია), ნონა ლომიძემ (საქართველო/ავსტრია) და ჟანა პარტლასმა (ესტონეთი). ტრადიციულ ინსტრუმენტულ მუსიკაში მრავალხმიანობის შესახებ მოხსენებები ჰქონდათ ბო ლავენგრენს და ბენ ვილერს (აშშ).

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო თემები, რომლებიც ჩვენს ადრეულ ფორუმებზე არ გაშუქებულა, ასეთი იყო: (ელისონის „აკუსტიკური ფანტომი“ (ფსიქოლოგიური თემატიკისა) და (მათ ჰარვის

„პოლიტიკური პოლიფონია“ (პოლიტიკური თემატიკისა). დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც სიმპოზიუმის მრავალგზის მონაწილეების (სიმჰა არომი, იოსებ ჟორდანია, პოლო ვალეჰო, დაივა რაჩიუნაიტე, ჟანა პარტლასი, მიხეილ ლობანოვი), ასევე ზოგიერთი ახალი მონაწილის (ანდა ბეიტანე, მარია დე საო კორტე-რეალი, სუ ვეი, მეთიუ ნაითი, როსარიო პესტანა, ველიკა სტოიკოვა-სერაფიმოვსკა, კაე ჰისაოკა, ქეთევან ბაიაშვილი) გამოსვლებმა.

სიმპოზიუმის მეორე დღეს შედგა ეთნომუსიკოლოგიური ფილმების ჩვენება. წარმოდგენილი იყო რენატო მორელის (იტალია) ფილმი „ხმები მთებიდან: სამი დღე პრემანაში“ და სამაკა ვანე ჯგუფის (ესპანეთი) ფილმი „აფრიკა: რიტმი“, რომელსაც პოლო ვალეჰოს კვლევა უდევს საფუძვლად.

სიახლე იყო საკონცერტო პროგრამაშიც. სიმპოზიუმის გახსნის დღეს პირველ კონცერტზე ორგანიზატორებმა (კოორდინატორი თამაზ გაბისონია) მსმენელებს შესთავაზეს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა (ოსების, უკრაინელების, რუსების, რუსი დუხობორების, გერმანელების, ებრაელების, პანკისელი ქისტების) მრავალხმიანობის შემსრულებელი კოლექტივები. აქვე შესრულდა აფხაზური და ქართული ქალაქური სიმღერებიც.

მეორე კონცერტი დაეთმო საქართველოს თორმეტი სხვადასხვა კუთხის საუკეთესო ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლას. ანსამბლების შერჩევაში დიდი დახმარება გაგვიწია რამდენიმე თვით ადრე კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა ფოლკორული ანსამბლების სასერტიფიკაციო დათვალიერებამ.

მესამე, გალა კონცერტზე თავიანთი შემოქმედება წარმოადგინა სიმპოზიუმის სტუმარმა შვიდი ქვეყნის რვა ანსამბლმა და ორმა ინდივიდუალურმა შემსრულებელმა. მათ მხარი აუბა ხალხური სიმღერის რვა თბილისურმა ჯგუფმა.

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საღამოთი გამართული ამ კონცერტების პარალელურად, სიმპოზუმის მსვლელობისას, კონსერვატორიის მცირე დარბაზში ტარდებოდა უცხოური კოლექტივების კონცერტები, სადაც თითოეული ანსამბლის უფრო ხანგრძლივი საკონცერტო პროგრამა იყო წარმოდგენილი.

სიმპოზიუმის მესამე დღე დაეთმო კულტურულ პროგრამას, რომლის ფარგლებში უცხოელი მეცნიერები და ზოგიერთი შემსრულებელ სტუმრობდნენ იყალთოს და გრემის მონასტრებს. ეს სასიამოვნო დღე დააგვირგვინა ეთნოგრაფიულ კონცერტში გადაზრდილმა საზეიმო ბანკეტმა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს ტრადიციული მრავალხმიანობის

საერთაშორისო კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ რუსუდან წურწუმიას და ამ ცენტრის საზღვარგარეთის ბიუროს თავჯდომარის, პროფესორ იოსებ ჟორდანიას ღვაწლი, ცენტრის სხვა თანამშრომლებთან ერთად, სიმპოზიუმის მაღალ დონეზე ორგანიზაციის საქმეში. მეექვსედ ამგვარი მასშტაბური ღონისძიების ჩატარება ადასტურებს მის უკვე მყარად დამკვიდრებულ საერთაშორისო პრესტიჟზე.

თამაზ გაბისონია

NEWS

The Tbilisi Sixth International Symposium on Tradition Polyphony

This academic forum has been held biennially in autumn since 2002 at the Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatoire. This event is organized by the International Centre for Research on Traditional Polyphony, based in Tbilisi State University (polyphony.ge), which also publishes a bilingual collection of Symposium papers. This year's forum was distinguished by a large number of foreign guests: 30 researchers from 15 countries. Fifteen participants visited the Symposium for the first time, indicating an increasing interest among ethnomusicologists from different countries in the Tbilisi Symposium.

Tamaz Gabisonia